საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION
AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საზოგადოებასა და მასმედიასთან
ურთიერთობის სამსახური

SERVICE OF PUBLIC AND MEDIA
RELATIONS

საქართველო, 0114 თბილისი, გულუას ქ. №6. ტელ : (+995 32) 72 72 24

press@moe.gov.ge

№ 11/11-247

"2" 10 2007წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
თავჯდომარეს ბ-ნ გიორგი ჩხეიძეს

ბატონო გიორგი,

გარემოს დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი № გ-04/401-07 26.09.2007წ, რომლის პასუხადაც გაწვდით ინფორმაციას.

დანართი 5 გვერდი.

პატივისცემით
სამსახურის უფროსი

ნინო გაბრიაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი

Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia
Department of Lisences and Permits

„01" 10 2007 წ.
№ 05/02-18/2628

141

საზოგადოებასა და მასმედიასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ნინო გაბრიაძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მ/წლის 26 სექტემბრის № 11/II-244 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი ნებართვის (2005 წ. სექტემბრიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის) გაცემის საფუძველია სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. 1997 წლიდან დღემდე სამინისტროს წინაშე სს „თბოელექტროცენტრალი"-ს საქმიანობაზე სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების საკითხი არ დასმულა. შესაბამისად გარემოსდაცვითი ან გარემოზე ზექმედების ნებართვა არ არის გაცემული.

ამასთან ერთად შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონები „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" ძალაში შევიდა 1997 წლიდან. კანონების მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილი იყო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის № 154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად საქმიანობა, რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2009 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მ/წ 20 აპრილს ანალოგიური წერილი №05/02-18/672 წარედგინა იურიდიულ დეპარტამენტს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილში დასმული სხვა საკითხები სცილდება ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის კომპეტენციას.

გთხოვთ საკითხების გასარკვევად მიმართოთ გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტსა და გარემოს დაცვის ინსპექციას.

პატივისცემით,

გიორგი ცხაკაია
დეპარტამენტის უფროსი

საქართველო, 0114 თბილისი, მისამართი: გ.გულუას ქ №6 , ტელ/ფაქსი: 727208
E-mail:lisence@moe.gov.ge6 Gulua str, 0114, Tbilisi, Georgia, Tel 727208

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

გარემოს დაცვის ინსპექცია

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6. ტელ. ფაქსი: (+995 32) 98 83 08

„2" 10 2007 წ.

№ 16-08-14/1636

საზოგადოებასა და მასმედიასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ნინო გაბრიაძეს

ქალბატონო ნინო,

გარემოს დაცვის ინსპექციამ განიხილა თქვენი 2007 წლის 26 სექტემბრის №11/11 – 244 წერილი, რომელიც შეეხებოდა სამინისტროში შემოსულ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილს მათთვის სს „თბოელექტროცენტრალი"-ს შესახებ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ ანალოგიური შინაარსის შეკითხვით სამინისტროს ადრეც მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ 2007 წლის 30 მარტის №01/23/15-2529 წერილით, რომლის მიხედვითაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქეების ი. ჯუღელის, ო. გურეშიძის და ლ. ალავიძის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი იქნა განაცხადი სს „თბოელექტროცენტრალი"-ს ფუნქციონირების გამო, რომელშიც ისინი მიიჩნეოდნენ, რომ აღნიშნული ქარხნის ფუნქციონირებით ირღვეოდა მათი უფლებები, რადგან ზიანი ადგებოდა განმცხადებელთა ჯანმრთელობასა და ქონებას. ამასთან, მითითებული დავა მხარეებს შორის საქართველოს საერთო სასამართლოებში მიმდინარეობდა 2001 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის აპრილამდე, ზემოაღნიშნულ პერიოდში კი გარემოს დაცვის ინსპექცია არ ფუნქციონირებდა და შესაბამისად, ვერ განახორციელებდა გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას, კერძოდ კი

ამ სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვას და გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შეუსაბამო საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის, ან ამ საქმიანობის შეწყვეტის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, ხოლო გარემოს დაცვის ინსპექციას შექმნის დღიდან (2005 წლის სექტემბერი) დღემდე სს „თბოელექტროცენტრალი"-ს საქმიანობა არ შეუმოწმებია და შესაბამისად მის მიმართ საჯარიმო სანქციები არ გაუტარებია.

აქვე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში განთავსებული ობიექტების, მათ შორის სს „თბოელექტროცენტრალის", ზედამხედველობა და გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელება შედიოდა ქ. თბილისის მერიის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების თბილისის კომიტეტის კომპეტენციაში, ხოლო აღნიშნული უწყება რამდენიმე წელია რაც ლიკვიდირებულია და შესაბამისად, ამ ობიექტის შესახებ ინფორმაცია გარემოსდაცვითი მდგომარეობის, დოკუმენტაციის და მის მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ სავარაუდოდ ინახება ქ. თბილისის მერიის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების თბილისის კომიტეტის არქივში.

პატივისცემით,

გოჩა გიგინეიშვილი
ინსპექციის უფროსი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი
MINISTRY OF ENVIRONMENT OF GEORGIA
DEPARTMENT OF INTEGRATED ENVIRONMENTAL MANAGEMENT

0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ/ფაქსი: 72-72-28, 72-72-27, 72-72-26
6, Gulua str., 0114, Tbilis., Georgia, Tel: (+995 32) 72-72-28, 72-72-27, 72-72-26
E-mail: geoairdept@caucasus.net

"01" 10 2007

№ 09/01-13/418

140

თქვენი ..... წლის

№ ..... წერილის პასუხად

საზოგადოებასა და მასმედიასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ნ. გაბრიაძეს

ქალბატონი ნინო,

თქვენი 26.09.07. №11/11-244 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სამინისტროში შემოსულ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილს (26.09.07. №g-04/401-07) მისთვის სს "თბოელექტროცენტრალის" შესახებ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში განთავსებული ობიექტების, მათ შორის სს "თბოელექტროცენტრალის" ზედამხედველობა და კონტროლი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შედიოდა ქ. თბილისის მერიას დაქვემდებარებულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების თბილისის კომიტეტის უშუალო მოვალეობაში, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, რაც ლიკვიდირებულია. ამიტომ, ზოგადად, ამ ობიექტის შესახებ ისტორიული ინფორმაცია გარემოსდაცვითი მდგომარეობის, დოკუმენტაციის და მის მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ სავარაუდოდ მოსაპოვებელია მაშინდელი თბილისის კომიტეტის არქივში.

რაც შეეხება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილში წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებს, გაწვდით ინფორმაციას ჩვენს კომპეტენციაში შემავალ მე-2, მე-4 და მე-5 საკითხებზე, რომლებიც თავისი შინაარსით პრაქტიკულად მსგავსია ერთმანეთთან:

– "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 28- მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "ამ კანონის მიზნებისთვის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ლიმიტის დამტკიცებას აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც გარემოზე მავნე ზემოქმედებისთვის "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლით დაწესებული ლიცენზიით გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული უფლების მინიჭებას" (მე-2 საკითხი).

– სს "თბოელექტროცენტრალს" გარემოს დაბინძურების მოქმედი მალიმიტირებელი დოკუმენტები (მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, მავნე ნივთიერებათა ზთვრულად დასაშვები გაფრქვევის/ნაშვების ნორმების პროექტი, ლიმიტი, მავნე

~~ნივთიერებათა გაფრქვევაზე/ჩაშვებაზე~~), რომელთა მოქმედების ვადაა 5 წელი, არ გააჩნია (მე-2, მე-4 და მე-5 საკითხები).

– "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრული "გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები", რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დადგენილია თითოეული მავნე ნივთიერებისთვის, ისინი მუდმივი სიდიდეებია და მათი დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი დამაბინძურებელი ობიექტისთვის, ამდენად ზემოაღნიშნული გარემოს ხარისხობრივი ნორმები კონკრეტული დამაბინძურებელი ობიექტისთვის არ დგინდება (მე-4 საკითხი).

პატივისცემით,

ნ. თხილავა

ნ. თხილავა

დეპარტამენტის უფროსი